№3 2014

# მასწავლებელი



დამოუკიდებლად სწავლის უნარები

მომავლის სკოლა და პროექტული სწავლება

სწავლება, სწავლა და პრაქტიკული ეთიკა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

# გრძელდება ხელმოწერა
# ჟურნალ „მასწავლებლის“ 2014 წლის ნომრებზე

ჟურნალი იბეჭდება 2 თვეში ერთხელ, წლის განმავლობაში – 6 ნომერი.
ერთეულის ღირებულებაა 2 ლარი.
(ერთწლიანი გამოწერა – 12 ლარი, ექვსთვიანი – 6 ლარი).

ჟურნალის გამოწერა შეუძლიათ, როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
იმ შემთხვევაში, თუ არ ხართ მასწავლებელი, ჟურნალის მიღება შეგეძლებათ თქვენ მიერ მითითებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

## ჟურნალის გამოწერის ინსტრუქცია:

1. გამოწერისას მიუთითეთ იმ რესურსცენტრის ან/და სკოლის დასახელება, სადაც გსურთ ჟურნალის მიღება.
2. აუცილებლად მიუთითეთ გამოწერილი ჟურნალების რაოდენობა.




ბანკის რეკვიზიტები:
სს „ბაზისბანკი“, ანგარიშის ნომერი: GE76BS0000000000134983, SWIFT: CBASGE22
მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 374 251
გადახდის დანიშნულება: ჟურნალ „მასწავლებლის“ ღირებულება.
(თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ ანგარიშზე ნებისმიერი კომერციული ბანკიდან)

**გამოწერის მსურველებმა დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენი სკოლის ადმინისტრაციას ან დარეკეთ ტელეფონზე:**
**551 08 13 08**



# რედაქტორისგან

ყოველთვის, როცა რედაქტორის გვერდისთვის წერილის დასაწერად ვემზადები, ბუნებრივია, მინდა, მთავარზე შევძლო ლაპარაკი.

თემის შერჩევა ძნელია. ბევრი რამ გროვდება ჩვენს პროფესიაში მნიშვნელოვანი, რის შესახებაც აუცილებლად უნდა ვისაუბროთ და ვიმსჯელოთ.

დღეს ორი კვლევის შედეგებს გაგაცნობთ, უფრო სწორად, მათ მცირე ნაწილს, დასკვნებს კი, იმედი მაქვს, თავად გამოიტანთ.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით კვლევა ჩაატარა. მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ თავიანთი ზოგადი პროფესიული უნარები. ეს უნარები დაყოფილი იყო კომპონენტებად და პედაგოგებს თითოეულ მათგანში საკუთარი კომპეტენციის შეფასებას სთხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი 24 კომპონენტიდან 21-ში მასწავლებლები საკუთარ კომპეტენციას უმაღლესი ქულებით აფასებენ.

ალბათ, არ არის ურიგო, როცა თავს პროფესიაში რეალიზებულად მიიჩნევ, მაგრამ, დამეთანხმებით, თვითშეფასება შედეგებზე უნდა აისახებოდეს, ამ მხრივ კი, ვაღიაროთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს.

საილუსტრაციოდ მეორე კვლევის შედეგებს მოვიშველიებ. „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე“ - ასეთი სათაური აქვს დოკუმენტს, რომელშიც ინტერკულტურული განათლების მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული. კვლევამ ჩემთვის გასაოცარი რამ აჩვენა. კითხვაზე, როგორია პედაგოგთა მგრძნობელობა უმცირესობათა მიმართ, ასეთი სურათი გამოიკვეთა: გამოკითხულ პედაგოგთა 46,6% ღიზიანდება, როცა ადამიანები მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობენ; 52,9% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელმაც არ იცის ქართული ენა, მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას; 83,8%-ს მიაჩნია, რომ არატრადიციული რელიგიები საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას, 47%-ის აზრით კი განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს.

და თუ ჩვენ ასეთ მაღალ შეფასებას ვაძლევთ საკუთარ თავს, საქმიანობასა და პროფესიონალიზმს, მაშინ სად არის ჩვენი ჰუმანიზმი, ტოლერანტობა, მოყვასისა და თანამოქალაქეების სიყვარული? თუ ჩვენი საქმის, შესაძლებლობებისა და მიზნების გვჯერა, მაშინ რატომ შევუპყრივართ შიშს?!

როცა ჟურნალისა თუ ინტერნეტგაზეთისთვის სტატიებს ვარჩევთ, მგონია, რომ თითოეული მათგანის წაკითხვის შემდეგ ყველა ცოტათი იმაზე უკეთესი გავხდებით, ვიდრე მანამდე ვიყავით.

ვიცი, ამაზე თქვენც დაფიქრდებით.

**ნატო ინგოროყვა**
*მთავარი რედაქტორი*

N3(34), 2014

# მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

**ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.**

**პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.**

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

**მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ირინა აბულაძე, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** ვიოლეტა კვირიკაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ქეთევან ოსიაშვილი, მაია ჯალიაშვილი, ირინე სამსონია, ნინო რევიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, მალინა საჯაია, ეკატერინე ყიფიანი, თეო ჭყოიძე, თეო ნეფარიძე, ბარბარე გეთია.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge




## ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

4 **მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ყოველდღიური ფიქრის ნაწილია**

მასწავლებლის ყოველი სამუშაო დღე განსხვავებულია. ვაღიაროთ, საუკეთესო მოსწავლეებსაც აქვთ რთული დღეები. როგორ იქცევიან მასწავლებლები ამ დროს? როგორია მასწავლებლის შეფასების ფილოსოფია? აღსანიშნავია, რომ დღევანდელი შეფასების გაგება ბევრად უფრო კომპლექსურია და უფრო მეტ სიახლეს გვთავაზობს.



ნინო რევიშვილი

8 **სწავლება, სწავლა და პრაქტიკული ეთიკა**

ეთიკის, ისევე როგორც სამოქალაქო თვითშეგნების, ცალკე საგნად სწავლება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. მოსწავლეს ექმნება წარმოდგენა, თითქოს ეთიკა დასასწავლი დისციპლინაა, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან ცოტა რამ აქვს საერთო.

## მოსაზრება

ირინა სამსონია

11 **ავთენტური შეფასება**

რატომ უნდა ავირჩიოთ მოსწავლის შეფასების ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც არაპირდაპირი გზით გვაძლევს ინფორმაციას მის შესახებ, როდესაც შეგვიძლია პირდაპირი გზით შევამოწმოთ მის მიერ ცოდნის გამოყენების უნარი?

თეო ნეფარიძე

19 **დამოუკიდებლად სწავლის უნარები**

დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარების მნიშვნელობაზე ყველა თანხმდება. თუმცა არც ისე ფართოდაა გამოკვლეული, რა ზეგავლენას ახდენს დამოუკიდებლად სწავლის უნარების ადრეულ ასაკშივე განვითარება პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებაზე.

თეო ჭყოიძე

35 **როგორ დავეხმაროთ ბავშვებს პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაში**

სტატიაში მოცემული რეკომენდაციები დაეხმარება მშობელსა და მასწავლებელს, ჩამოუყალიბონ ბავშვებს პასუხისმგებლობის გრძნობა და ხელი შეუწყონ მის შემდგომ განვითარებას.

ქეთევან ოსიაშვილი

46 **როგორ განვუვითაროთ ბავშვს მათემატიკური აზროვნების უნარი**

მათემატიკის როლი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში უაღრესად დიდია. ის აზროვნების, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ბავშვების უმრავლესობას მათემატიკა არ უყვარს და მისი სწავლა უჭირს.



# შინაარსი





**გამოცდილება**

მარინე ჯაფარიძე

41 | „დასწავლილი უმწეობა“ როგორც ფენომენი

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბავშვობაში ფიქსირებული უმწეობის განწყობა ადამიანს მთელი ცხოვრება თან სდევს. ამდენად, კიდევ უფრო აუცილებელია იმ მექანიზმების ცოდნა, რაც ამ ფენომენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. პრევენცია აქ ძალზე მნიშვნელოვანია.






მალინა საჯაია

49 | როგორ დავარწმუნოთ ბავშვები, რომ „სწავლა სინათლეა“

კვლევებით დადგენილია, რომ მასწავლებლის მოტივაცია და მისი სწავლების სტილი გავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო მოტივაციაზე. კერძოდ, თუ მასწავლებელი შინაგანი მოტივაციით ხელმძღვანელობს პროფესიული საქმიანობისას, ესე იგი თუ მისთვის სწავლება სახალისო და საინტერესო პროცესია, მისი მოსწავლეების მოტივაციაც იზრდება.

**რესურსი**

მაია ფირჩხაძე

15 | მომავლის სკოლა და პროექტული სწავლება

პროექტული მეთოდის საშუალებით მოსწავლეები სწავლობენ პრობლემის გადაჭრას, დამოუკიდებლად მუშაობას და კრიტიკულად აზროვნებას, ფაქტებზე დაყრდნობით მეცნიერული, ობიექტური დასკვნების გამოტანას, ჯგუფურ მუშაობას, სხვადასხვა სოციალური როლის შესრულებას. ამიტომ მისი გამოყენება სასწავლო პრაქტიკაში აუცილებელია.

მაია ჯალიაშვილი

23 | ინტერტექსტუალური პარალელები

მხატვრული ლიტერატურა ერთგვარი ჯადოსნური სარკეა, რომელშიც ადამიანის ყოველგვარი შესაძლებლობა, ოცნება, წარმოსახვა, რეალობის ათასგვარი მეტამორფოზა (რეალობის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული კონტექსტი) ირეკლება.

ეკატერინე ყიფიანი

31 | ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა წარმატების მისაღწევად

როგორ დავგეგმოთ ინტერაქტიული გაკვეთილი ისე, რომ არ გამოგვრჩეს სწავლების დინამიკური, დივერგენტული და განსხვავებული ასპექტები?

ვიოლეტა კვირიკაშვილი

38 | წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში

მეტყველების განვითარებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს, უპირველეს ყოვლისა, იმ სინამდვილის შესახებ უნდა შეექმნას ზოგადი წარმოდგენა, რასაც მეტყველება ასახავს. მან მეტყველება უნდა გააცნობიეროს როგორც საკუთარი პრაქტიკული მოქმედება.

**განათლების ისტორია**

ბარბარე გეთია

53 | მარია მონტესორის სწავლების მეთოდი

სწავლების მისეული თეორია მას შემდეგ დაიბადა, რაც მან ორწლიანი მუშაობის შედეგად მენტალური სირთულეების მქონე ბავშვებისთვის წერა-კითხვის სწავლება შეძლო. ბავშვებმა, რომლებიც, ფაქტობრივად, სწავლისუუნაროებად იყვნენ მიჩნეულნი, წარმატებით ჩააბარეს სკოლის გამოცდები და საშუალოზე მაღალი ქულები მიიღეს.